

# სასაქონლო ბაზარი

**რედაქციისათვის**

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს გარკვევით დაწერილი და ავტორის მიერ ხელმოწერილი მისივე ადრესით.

**გაზეთის ფასი:**  
**ცალკე ნომერი ყველგან 2 კაპ.**  
**წლის დასაბეჭდად 75 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი ტექსტის წინ 20 კაპ., ტექსტის შემდეგ 10 კ., ტექსტის შუა 40 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 2 მან. უმუშევართვის ამ ფასების ნახევარი.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სტამბა ჰუტენბერგისა, ოლგისა და სლევკოვის ქუჩების კუთხე.

პირა, 1 ნომერი. 1909 წ. პირა, 1 ნომერი.

**ქართული თეატრი**  
 კვირას, 1 ნოემბერს, 1909 წ.  
 ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:  
 ისტორიული პიესა ალ. ყაზბეგისა.

**კონსტანტინე გაბონიშვილი**  
 (წამება ქეთევან დედოფლისა).  
 დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.  
 ადგილების ფასი: ჩვეულებრივია.  
 დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. რეჟ. თან. ვ. ურუშაძე.  
 დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

## გაიხსნა ტფილისის პირმო ახალი სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამოგზაო განყოფილებით.  
 ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, "ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,  
 ტელეფონი № 590.

**ბალახივილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.  
**ლაშაშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყ. ყოველ; კვ. გარდა 11—12 საათ.  
**გაბონიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. შინ., ოთხშ., და პარ. 10<sup>1</sup>/<sub>2</sub>—11 ს.  
**გუგუშვილი მ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს.  
 და კვირას 11—12 ს.  
**ქარბინი ა. ა.** კან. და გენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს.  
**მალაშვილი მ. მ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.  
**მანუჩაძე ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.  
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედა-ბავშვ. ყოველ-დღე 12 | 1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ. ოთხშ. და პარას. 2—2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს.  
**შირაღოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.  
**პაპოვი ბ. ა.** ყურა, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს.  
**რცხილაძე ნ. კ.** კბილ. ყოვ. დღე 9—11 საათ.  
**სოგოლაშვილი ვ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღე 9—11 საათამ.  
**თიქაძე ი. მ.** დედაკ. საბებიო, ყოველ დღე 1—2 ს.  
**ფედოროვი ე. ბ.** მიკრ. ქირ.-ბაქტ. გაბოკლევა. (50—9)

**ვოგელის**  
**პირმო სამკურნალო**  
 გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.  
 ვოგელის ქ., № 8, ს. ენუაჩიანცისა, ტელეფ. 695.  
**ვაშაშვილი**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.  
**გომარათელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.  
**ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11<sup>1</sup>/<sub>2</sub>—12<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურ. და ქალებისა, 1—2 ს.  
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ., 2—2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ს. თვალისა.  
**ბ. ა. პაპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.  
**ე. მ. ფედოროვი**—ყოველ დღე ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რეჟისათვის 50 კაპ.  
 თქვენი ციფრები და კონსილიუმი მორიგებით. (50—9)

**გიურო გაბალოვისა.**

მთავრობის ნებართვით, დეორცოვის ქუჩაზედ, სარაჯიშვილის სახლში № 6 (ეზო 8) გახსნილია **გიურო საწმინდა მარტინისა.** ყველა ენაზედ. ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია. საქმის სწრაფად შესრულებად, სისუფთავეზედ და გრამატიკულ მართლწერაზე მიქცეულია განსაკუთრებული ყურადღება.

იქვე იწვევა ყველანაირი თხოვნები, საქმის ქაღალდები. პირობის წერილები, საბეჭუნო ანგარიშები, კასციისა და აველიაციის საჩივრები, თხოვნები **უმაღლეს სახელგაზედ** მისართმევად, გამოწერვ-გამოტანა გირანობის მოწმობისა ყველა ბანკებისათვის უძრავ მამულისა.

გიურო ღია ყოველ დღე დილის 9 საათიდან ვიდრე 2 საათამდე. ნაშუადღევს 3—7 საათამდე. (10—3)

**მ. ი. მ. მ.**  
**კ. არღაზიანი**  
 განახლდა ავადმყოფების მიღება.  
 ბავშვების და შინაგან ავადმყოფ. ადრესი: კუთხე მელიქოვის და ალექსანდროვის ქუჩა ინტენდანსტოვს პირდაპირ. 9-ე სავ. უბანში.  
 იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათ, საღამოთი 5—7 ს.

**სოფლის შრილობა.**

კანონი სოფელს ნებას აძლევს, ყოველ თვის ს. ერთო მოსალაპარაკებელი საქმე როცა აქვს, სოფლის მამასახლისის თანადასწრებით შეიკრიბოს, მოილაპარაკოს და დაადგინოს გადაწყვეტილება. ზოგიერთი გადაწყვეტილება თხოულობს მთავრობის დამტკიცებას, რომ შემდეგში იქმნას სისრულეში მოყვანილი.

ყრილობაზედ უნდა დაესწროს ყველა ოჯახის წევრი ანუ ორი მესამედი. უკეთუ იმ დროს ოჯახის უფროსი წევრი შინ არ იმყოფება, ნება აქვს მისს მაგიერ რომელიმე სხვა წევრი ოჯახისა დაესწროს.

კანონით ნება დართული სოფლის ერთათ შეკრებას თავის ქირ ვარამზედ

მოსალაპარაკებლათ, ერთი საუკეთესო მუხლია მეცხრამეტე საუკუნის კანონ-მდებლობისა. ჩვენი სოფლები კი ვერ სარგებლობენ. მიზეზი სოფელთა უცოდინარობა და ბევრჯელ ერთმანეთის ჯერბია.

რა იქნება ამაზედ კარგი, კვირა უქმე დღეს შეიკრიბოს ერთათ სოფელი, გაუზიარონ ერთმანეთს ქირვარამი, სხვა და სხვა აზრის მოსმენით იპოვონ გზა, რომელიც სოფელს წაიყვანს საუკეთესო მომავლისაკენ. ნათქვამია ერთის ქუცა კარგია, ორისა კი სჯობიაო. რასაკვირველია, როცა ვაშობთ მსჯელობაო, დინჯათ ღმერთისათ უნდა იყოს მოსმენილი წამოყენებულ საგანზედ ნათქვამი აზრი; ჯერ ერთის მერე მეორესი და სხვა. ბოლოს საუკეთესო აზრით ნაჩვენები გზა უნდა იქმნას მიღებული, ვისი ნათქვამიც უნდა იყოს იგი. ამისთანა ყრილობაზედ საქმეც კარგი გაკეთდება და მომავალი ახალ-გაზლობაც შეეჩვევა მოფიქრებულს მსჯელობას და წესიერებას. ჩვენებურ სოფლის ყრილობაზედ-კი სულ სხვას ვხედავთ: წესიერი და დინჯი მსჯელობა კი არ არის, საშინელი ღრინა-ცელია, სადაც ყურთა სმენა აღარ არის. რიგზედ ნათქვამ აზრს კი-არ უგდებს ყურს სოფელი, ყველა თავისას ყვირის დ

ეროვნული  
\*საზოგადოებრივი

მომხმენი კი არცინ არის. რასაკვირ-  
ველია ამისთანა ყრილობაზედ არა-  
ფერი გაკეთდება, თუ გა ეთდება ხე-  
რიანი არ იქნება. ბევრჯელ სოფე-  
ლი ყვირილით დაღლილი დაიშლება  
და წამოყენებულ საგანზედ გადაწყვე-  
ტილება დარჩება მამასახლისის და მისს  
რამდენსამე თანა მოაზრეს და ამ გადა-  
წყვეტილებაზედ სოფელი აწერს ხელს  
დუქნებში, გზაზედ და ეზოებში.  
რა უნდა გამოვიდეს კარგი ან საქმი-  
სათვის, ან ახალგაზღვრებას გაწრთვნის-  
თვის?!

ცხოვრება გართულდა, მეტს უნარს  
და დაკვირვებას ითხოვს. ამისათვის  
დროა და დღათ საჭიროა, ჩვენმა  
სოფლებმა კი თავისი საქმეები საზო-  
გადო ყრილობაზედ დინჯის მოფი-  
ქრებით და მსჯელობით აწარმოვოს,  
ჯიბრიანი და უბრალო მყვირალეები  
ყრილობიდან განდევნოს მინამ გას-  
წორდებიან.

ბევრჯელ სოფლის ყრილობაზედ  
დამსწრე.

### საგლეხო ბანკი III.

რა ქალაქი და საბუთია საჭი-  
რო, რომ საგლეხო ბანკმა ფოლი  
გვასესხოს მამულის სასყიდლად.

ყველაზე პირველად გამყიდველი  
და მყიდველი უნდა შერიგდნენ  
და შეთანხმდნენ მამულის ფასზე.  
უამისობა ყოველად შეუძლებელი და  
მოუხერხებელია. ამ ბოლოს დროს  
გლებ-კაცობაში ფეხი მოიკიდა რა-  
ღაც უცნაურმა და გაუგებარმა აზრ-  
მა. ხშირად გაგვიგონია გლებისაგან  
—იმ ფასს მივცემ, რასაც საგლეხო  
ბანკი იტყვისო. ასეთი ვაჭრობა სად

გავიწილა? ბანკმა რომ ჩემი საკუ-  
თური მამული თუმნად დააფსოს  
დღიური, განა ასეთი ფასი სავალ-  
დებულოა მამულის პატრონისთვის?  
ან, კიდევ, მე რომ დღიურს სამ  
თუმნად ვყიდდე და ბანკმა-კი ხუთი  
თუმანი შეაფსოს დღიური, განა  
მყიდველმა სამის მაგიერ ხუთი თუ-  
მანი უნდა წამოიღოს კისრად?

საგლეხო ბანკს ვაჭრული ხასიათი  
აქვს და ბანკს ვესესხებით იმდენს  
ფულს, რამდენიც მესაჭიროება.  
ესთქვათ, მოკრიგდით ოთხ თუმნად  
დღიურზე. ერთი თუმანი რომ ჩემის  
ჯიბიდან ჩავაბარო მესაკუთრეს, ბანკს  
ვესესხები სამს თუმანს.

მამულის გამყიდველი უნდა იყვეს  
სრული პატრონი პატრონი გასასყიდის  
მამულისა, ესე იგი უნდა ჰქონდეს  
სრული უფლება მამულის გაყიდვა-  
გაცემისა. ამისათვის-კი საჭიროა,  
რომ გამყიდველს ხელში ჰქონდეს  
დამტკიცებული გეგმა პლანი, არ-  
წივიან ღერბ დასმული. ვისაც ასე-  
თი პლანი არა აქვს, ტყუილად  
თავს ნუ შეიწყენს, კანონიერად  
მამულს ვერ გაჰყიდის საგლეხო  
ბანკის დახმარებით. მყიდველიც უნ-  
და ფრთხილობდეს და ბეი არ ჩაუ-  
ყაროს ხელში გამყიდველს, ვიდრე  
არ დარწმუნდება, რომ გამყიდველს  
კანონიერი პლანი აქვს გამოტანი-  
ლი.

ბევრია ჩვენში მაგალითი, რომ  
მყიდველი მწარედ მოტყუებულა,  
მამულის ფასი სავსებით გაუღია და  
მამული კი ვერ დაუმტკიცებია და  
შემდეგში ესეთი ნასყიდობა თავში

სოლომონ მეორე, მეფე იერე-  
თისა, ტახტზე ასვლამდის იწოდებო-  
და დავითად. იგი იყო არჩილის ძე  
და ძმისწული მეფე სოლომონ პირ-  
ველისა. ერეკლე მეფეს იგი მოზ-  
დებოდა შვილის შვილად. რადგან სო-  
ლომონ პირველს ვაჟიშვილი არ  
ჰყავდა, ამიტომ ერეკლე მეფის ჩა-  
გონებით მან იშვილა, ტახტის მემ-  
კვიდრედ გამოაცხადა თვისი ძმისწუ-  
ლი, დავით არჩილის ძე. სოლომონ  
პირველი გარდაიცვალა 1784 წ., ამ  
დროს დასახლებული დავითი იყო  
მხოლოდ 12 წლისა. მასი მცირე  
წლოვანობა გახდა ხელზედ-დასახევე  
მიზეზად და სოლომონ პირველის  
დაღვნილების წინააღმდეგ ტახტ-  
ზედ აიყვანეს დავით გიორგის ძე,  
მიცვალბულა მეფის ბიძაშვილი.  
ს. რდარი, პაპუნა წერეთელი, სიძე  
დავით გიორგის ძისა, დაეხმარა მას  
ტახტის მოპოებაში თავის სარგებ-  
ლობას გულისათვის. დავით არჩი-  
ლის ძე-კი, რომელსაც სამეფო ეკუ-  
თვნოდა, თანხმად სოლომონ პირვე-  
ლის დაღვნილებისა, იძულებულ  
იქმნა დროებით თავი შეეფარებინა

საცემად და სადავიდარაბოდ გახ-  
ლომია.

ალექსანდრე ყიფშიძე.  
(შემდეგი ხუთშაბათს.)

### მოკა დრო.

მოკა დრო, უზარ-მაზარნი  
მთანიც შეინგრევიან,  
ქარი დაჰქროლებს მდგარი,  
ღრუბელნი განიმქრევიან!  
ზევით ცა ლაყვარდოვანი  
ქვეშ მიწა-შეირყევიან,  
აწ გულნი, ოდნავ მფეთქავნი  
ლომ ვეფხვსაც მოერევიან!

მოკა დრო, დაჩაგრულები  
ჩამაცათ მოიქცევიან,  
ერთის წადილით შეკრულნი  
ერთს ნდომად გადიქცევიან!  
გრგვინვად ასტყდება ყიჟინა  
მშიშარნი გაიქცევიან;  
ქვიტირნი შედღღებულნი  
ჩაინგრევ ჩაიქცევიან!

მოკა დრო, ნანგრევთა შორის,  
მდელიანი აჰყვავდებიან;  
მშობლისგან თავის ნაშობი,  
მშობლურად აღიზრდებიან.  
ფრინვლები ბარტყებს დასჩეკენ,  
ქიკქიკით დაფრინდებიან;  
ქვეყნის ნუგეზად მნათობნი  
ლაყვარდში გაბრწყინდებიან;

მოკა დრო, ძღვევა მოსილი  
ქართველთა შორის ამიერ,  
კიდეთ-კიდემდე გაისმის  
კახური მრავალ-ჟამიერ!  
იტყვიან: „გამხიარულდი,  
ქართველო ყოველ წა იერ,  
გული ფოლადად ნაწრთობი  
იცოცხლებს მრავალ-ჟამიერ!“

ა. ყაზბეგი.

მე მთიელი ვარ, არ ვიცი,  
თქმა და უკუ თქმა სიტყვისა:  
საღსა კლდეს ფიქრი არა აქვს  
არც წვიმის, არცა სეტყვისა.

ბევრჯელაც ზეცა დასქექებს,  
და ბევრჯელ მეზი დაჰკრავსო,  
მაგრამ მთას გუდა-ნაბადი  
თავისი ზედვე აკრავსო.

ვინც მიყვარს, მიყვარს ნამდვილად  
მისკენ მაქვს ფიქრი, გონება,  
ცხადათ ძილში, სიზმარში  
გული მას დაეკანება.

მის ყოფნით მხოლოდ ქვეყანა  
თვალს და გულს მოწონება,  
სულიცა გალღებული  
თუნდ ზეცას აეწონება.

ვდემში ლხინად რომ ვიყო,  
გრძნობას ის მოეჩვენება,  
თუნდ ჯოჯოხეთში ვიწოდე,  
წინ ხატად დამესვენება.

უმიოდ ყველა ფუჭია  
ლხინიც-კი მომეწყინება,  
მთად ცვარსა მზე თუ განშორდა,  
სიცავით გაიყინება.

ა. ყაზბეგი.

### ტყაპი დაპიჯვათ. I

უნებლიეთ გული გტკივთ, რომ  
ცა ხედავთ როგორის უდიერის  
შეუბრალებლობით იჩნება, იწვის  
და ისობა ბუნების მიერ დაზოგ-  
ვით საუკუნე ბით შენახული, აღ-  
მანის ყოველ-დღურ ცხოვრებაში

კონსტანტინე. ამნაირად, მუხუ-  
რის ცხენში დაამწყვდია, რომ მტრო-  
ბას და ქიშპობას იგი გულიდან  
ამოირეცხავდა. მაგრამ ვერც ამით  
გაჯავდა შუღლი სოლომონს და  
დავითს შორის. უკანასკნელმა მი-  
მხრო ახლა დადიანი გრიგოლ და  
ერად დაეცნენ სოლომონს. ამ  
ომშიაც გაიმარჯვა სოლომონმა და  
გააქცია დავითი ახალციხეს, ხოლო  
გრიგოლმა ჩამოართვა ტახტი და  
მთავრად ააყვანა ძმა მისი მანუჩარ-  
სოლომონს ახლა მტრად გადაეკი-  
და გრიგოლ დადიანიც, რომელმაც  
ლევების და გურიელას დახმარე-  
ბით ამაოდ ეკადა სოლომონთან  
გამკლავებას. გამწვავებული შეტ-  
კება მეფემ თავართა ჯერ არ შე-  
წყვეტილიყო, რომ ტახტიდგან გა-  
დაგებული მეფე დავით ყვავილი-  
საგან გარდაიცვალა ახალციხეს 1795  
წ., კონსტანტინე მისი შვილი დარ-  
ჩა მძევლად სოლომონს, ხოლო და-  
ქვრივებული დედოფალი შეეფარა  
ქართლს ერეკლე მეფეს.

ა. ხახანაშვილი.

(შემდეგი ხუთშაბათს)

### ივარეთის მფხვ სოლომონ მეორე.

მომავალს წელს შესრულდება ასი  
წელიწადი მას შემდეგ, რაც ივარე-  
თის მეფემ სოლომონ მეორემ (და-  
იბადა 1773 წ.) დასტოვა სამშობ-  
ლო და გაღიხეწა ოსმალეთს. მო-  
ქმედება და თავგადასავალი ამ შესა-  
ნიშნი მეფისა აქამდის ყურადღებით  
არ არის შესწავლილი. მისი ცხოვ-  
რება აუწერიათ უცხო ქვეყნის მწერ-  
ლებს და გულცივი მიდგომილობის  
ბეჭედი დაუსვამთ. ქართულს მწერ-  
ლობაში მისი სახელი მოხსენებუ-  
ლია თანამედროვეთა ნაწყვეტ-ნაწ-  
ყვეტად დარჩენილს მოგონებაში,  
მაგრამ სრული და დაწვრილებით  
აღნუსხული მისი ისტორია ჯერ არ  
დაწერილა.

ქვემო მოყვანილი წერილი მხო-  
ლოდ გავრით განიხილავს სოლო-  
მონ მეფის ცვალებადს და ტანჯულს  
სვებედს. გაზეთის ფურცლები არ  
არის საკმარი, რომ ჩაუკვირდეთ და  
ფეხდაფეხ მივყვით მრავალ ფერო-  
ვანს მის ცხოვრებას.



როსიულ მწერალ კვიტკო-ოსნოვი-  
ნენკოს ძველი დაუდგან. ქალაქმა  
ამისთვის 3,000 მანეთი გადასდო.  
იმედი აქვთ, რომ დანარჩენ ფულს  
მოაგროვებენ.

**პიტეზურგი.** საერო განათლების  
მინისტრი სახელმწიფო სათათბიროს  
ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვას გარ-  
და 7,000.000 მანეთსა სთხოვს. ეს  
ფული პირველ დაწყებითი სწავლას  
მოხმარდება.

**თავრიზი.** ხმა დადის, გენერალ-  
გუბერნატორი სამსახურიდან გავა  
და თავრიზს მიატოვებო. სათარ-ხა-  
ნის ფიდაეებმა განაცხადეს, თუ  
მოვიწოდებთ გენერალ გუბერნა-  
ტორს გადავაყვებიანთო.

**თეირანი.** განზრახულია მეჯლი-  
სი მომავალ კვირაში გახსნან. მთავ-  
რობა სცდილობს ბაქოელ ნავთის  
მრეწველის მუსა ნაგიევისაგან სეს-  
ხი აიღოს. სამხედრო სამინისტრო  
იმუშავებს კანონ-პროექტს ჟანდარ-  
მერიის ორგანიზაციის შესახებ. გან-  
ზრახულია ინსტრუქტორების მოწ-  
ვევა.

**მოსკოვი.** დამცველმა პოლიციამ  
სოკოლნიჩის ქუჩაზე აღმოაჩინა სო-  
ციალ-დემოკრატების საიდუმლო  
სტამბა. დაპატიმრებულ ქალის სად-  
გომში პოლიციამ იპოვნა კარგა  
ბლომა შრიფტი, ქალაღი, პრო-  
კლამაციები, მთავრობის სხვა და  
სხვა დაწესებულებების ბეჭდები,  
სულ 2000, საპასპორტო ბლანკები,  
პატრონები და სხვა. დაპატიმრეს  
ერთი ქალი და ერთი კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად  
გახდა 10, გარდაიცვალა 4, ავად  
არის 157 კაცი.

### ახალი ამბები

მოვაგონებთ მკითხველებს,  
რომ დღეს საარტიტო საზოგადო-  
ების დარბაზში ერობის შესახებ წა-  
იკითხავენ ლექციებს ბატ. ხატისო-  
ვი, გოგინაიშვილი და მილიუტინი.

თითქმის ყოველ დღე გვემის  
მეტად სამწუხარო, დამაფიქრებელი  
ამბავი. საქართველოს მიწა ადგილე-  
ბი სხვათა ხელში გადადის: ქართ-  
ლისა და კახეთის მემამულენი თი-  
თქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან ვინ-ვის  
დაასწრებს მამულების გაყიდვას,  
რომლებზედაც მათ მამა-პაპას ათას  
წლოებით უცხოვრიათ, ჩაუყრიათ შიგ  
თავისი ძვლები. და ეს იმ დროს, რო-  
დესაც ადგილობრივი მკვიდრნი დიდ  
სივიწროვს განიცდიან. სულ ბოლო  
ხანს საქართველოს სხეულს ჩამოეჭ-  
რა შემდეგი ნაწილები:

1. გარეთ კახეთში თავ. ანდრო-  
ნიკაშვილებმა 2000 დესიატინა მიწა  
მიჰყიდეს 100 რუსის კომლს და ბედ  
15000 მანეთი აიღეს.

2. ბორჩალოს მაზრაში თავ. ბა-  
რათაშვილმა დაუტოვა ვალში არა-  
მიანცს 35000 დესეტინა, სადაც  
ერევნელები უნდა დასახლონ.

3. ყუბანის ოლქის რამდენიმე  
გლეხმა მიმართა ამიერ-კავკასიაში  
გადმომსახლებელ საზოგადოებას, რა-  
თა დახმარება აღმოუჩინოს მათ რე-  
იტერის 7000 დესეტინის მამულის  
სყიდვაში, გომისახლო, ზემო ქართლ-  
ში.

ჩვენებურები მხოლოდ ელოდები-  
ან, მინამ მიწას მუქთად დაურვიფ-  
ბენ.

ილია ქავჭავაძის საღამოდან  
წ.-კ. საზოგადოებას დარჩა მხოლოდ  
340 მან. მიწები ამისა დიდი ხარჯი  
იყო, რადგან თითქმის ყველა მონა-  
წილემ ფული მიიღო.

ყვირილიდან "დროებას" ატყო-  
ბინებენ, რომ დეკანოზი დავით ღამბა-  
შიძე ქუთაისის გენ.-გუბერნატორის  
განკარგულებით, დაუჯარიმებიათ  
500 მანეთით. ვადად სამი დღე მიუ-  
ციათ. მერე აუწერიათ მოძრავი  
ქონება დეკანოზისა და "მწყემის"  
რედაქციისა და ჩამოურთმევიათ  
ხელწერილი ყვირილიდან წაუსვლე-  
ლობისა. 30 ოქტომბერს, დილის  
10 საათზე, შესდგომიან უკვე აწე-  
რილ ქონების გაზიდვას საბაზრო  
მოედანზე გასასყიდად.

სოფელ. ალაგირის ქართულ  
სკოლაში განთავისუფლებულა მას-  
წავლების ადგილი. მსურველთ  
უნდა მიმართონ წერა-კითხვის სა-  
ზოგადოების კავკავის განყოფილე-  
ბას.

"რუსკ. სლოვო"-ს დონის-როს-  
ტოვიდან დებეშით ატყობინებენ:  
24 ოქტომბერს დაპატიმრეს სამი  
ქართველი: ბართლომე მეტრეველი  
და ავქსენტი და სერგო ქუთათელა-  
ძენი. მეტრეველს ჰპრალდება 8 სეკ-  
ტემბერს სადგურ ბორისოვლებსკში  
სხვებთან ერთად მატარებელზე თავ-  
დასხმა და ჩრდილოეთის ბანკის მე-  
არტელის ერმილოვის გატარება. ამ  
დღეს ერმილოვს 30,000 მანეთი წაა-  
რთვეს. ძმებ ქუთათელაძეებს აღმო-  
აჩნდათ 6,500 მანეთი, სულ ოცდა-  
ხუთ მანეთიანები. ფული სისხლით  
არის მოსვრილი. გამოიკვია, რომ  
დაპატიმრებულები როსტოვში იარ-  
აღისთვის ჩამოსულან. მათ თავიანთი  
იარაღი ერთ ქართველისთვის მიუბა-  
რებიათ. ამ ქართველის გვარი ვერ  
გავიგეს. სამივე დაპატიმრებული ქუ-  
თაისის გუბერნიიდან არიან.

დღეს და გუშინ ვერის მოე-  
დანზე დიდძალი კარტოფილი და  
კომბოსტო ჩამოიტანეს გასასყიდად  
ფასები: კარტოფილი ფუთი 35-  
45 კ., კომბოსტო 30-40 კ.

"რეჩ"-ში ვკითხულობთ: "სა-

ნამ" სახელმწიფო სათათბირო გა-  
ნიხილავდეს იმ კანონპროექტს,  
რომლითაც კავკასიაში საბოლოოდ  
უნდა მოისპოს ბატონყმობის ნაშ-  
თები, კავკასიის გლეხ-კაცობა ყო-  
ველნაირ დამცირებას და შევიწრო-  
ებას ითმენს მემამულეებისაგან. 23  
ოქტომბერს დებუტატმა ჩხეიძემ  
გორის მაზრიდან შემდეგი შინაარ-  
სის დებეშა მიიღო. "ეს 5 წელიწა-  
ლია, რაც სანადელო მიწებში ლა-  
ლას აღარ ვიხდით. მაგრამ, მიუხე-  
დავად ამისა, გოგო სავანელი, შეი-  
არაღებულის დარაჯებით გვაიძულებს,  
სანადელო მიწების ლალა გადავიხა-  
ლოთ. დაპატიმრეს 12 კაცი. გვი-  
შველეთ რამე, ისეც მოუსაველობა  
წლეულს და ეს სულ ბოლოს მო-  
გვალბეს."

### ფაროველთა ბიჭვა.

სამ უკანასკნელ დღეს სამუშაოს  
საშოვნელად

	გამოვიდნენ: იზოვნეს
მუშა	795 — 227
ღურგალი	44 — 18
კალატოზი	74 — 35
მომკირწყლავი	71 — 36
მეფესტე	58 — 47
მხატვარი	22 — 8
მებუხრე	19 — 4
იატაკის გამწმენდი	22 — 13

რედაქტორ გამომცემელი

დარია ხრამელაშვილისა.

## განსხადება

მეორე სპეციალური კლასი ტარ-  
სტავანოვის სავაჭრო სკოლისა  
(ჩინის მიღების უფლებით)  
იხსნება ამა წლის პირველ ნოე-

## ა ლ მ ე ზ ა .

ა ლ მ ე ზ ა სულ, ერთ წუთში სპობს კბილის ტკივილს, აგრეთვე კარგავს პირის  
სიმყარეს, და აჩერებს სისხლის დენასა. ამავრებს კბილებს, ზრდის ნონებსა.  
აუცილებელი საჭიროა ყოველს ოჯახში და მოგზაურობის დროს. ფასი ნორმალუ-  
რი ფლაკონისა 1 მ. 20 კ. საცთელი. ფლაკ. 40 კ.

## თმის საშვალევა პრიმა.

პრიმა აჩერებს თმის ცვენასა, სპობს უცბათ თავის ქერტლსა. აგრეთვე თმა იღებება  
შეწმდეგ რაზოდენიმე ხმარებისა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.

საუკრბდლებოთ ციებ-ცხელებით ავანთყოფებისათვის.

ჩვენი ციების წამალი სპობს სულ მოკლე დროში ძველს და ახალს ციებ-ცხე-  
ლებასა ფასი 1 მ. 50 კ.  
დარიგება ყველას თან ახლავსთ. გვზავნით ფას დადებით, საჭიროა ბე ერთი მესამედი-  
კანტორა და სკლადი თფილისი ქუჩა ნეკრასოვისა № 14 ვარონცოვის ტ. ძეგლის.  
მახლობლათ.

წარმომადგენელი მთელი კავკასიისა ი. ახობაძე.  
Контора и складъ "Т". Тифлисъ Некрасовская улица № 14 И. Ахобадзе.  
(50-6)